

რეკომენდაციები
უცხოური კვალიფიკაციების შეფასების
პროცედურებსა და კრიტერიუმების შესახებ

პრეამბულა

ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის კომიტეტი

თვლის, რომ ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიზანი არის მიაღწიოს მათი წევრების უფრო მჭიდრო ერთიანობას და რომ ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას საერთო ძალისხმევით კულტურულ სფეროში;

ითვალისწინებს ევროსაბჭო/იუნესკოს კონვენციას ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის შესახებ;

ითვალისწინებს ევროპის კულტურულ კონვენციას;

ითვალისწინებს ევროპულ კონვენციებს № 15 – უნივერსიტეტებში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ექვივალენტობის შესახებ, № 21 – უნივერსიტეტში სწავლების პერიოდის ექვივალენტობის შესახებ, № 32 – საუნივერსიტეტო კვალიფიკაციების აკადემიური ცნობის შესახებ, უნივერსიტეტებში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ექვივალენტობის ევროპული კონვენციის № 49 პროტოკოლს, № 138 – უნივერსიტეტებში სწავლების პერიოდების ზოგადი ექვივალენტობის შესახებ ისევე, როგორც ევროპულ № 69 შეთანხმებას სტუდენტთა გრანტების გადატანის შესახებ;

ითვალისწინებს იუნესკოს კონვენციას ევროპის რეგიონის ქვეყნების უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სწავლებების, დიპლომების და ხარისხების ცნობის შესახებ;

ითვალისწინებს ორ დეკლარაციას № 15 ევროპული კონვენციის გამოყენების შესახებ და ზოგად დეკლარაციას ევროპული ექვივალენტობის კონვენციებზე;

ითვალისწინებს დიპლომის დანართს შემუშავებულს ერთობლივად ევროკომისიოს, ევროპის საბჭოსა და იუნესკოს მიერ, იუნესკო/ევროსაბჭოს მოწინავე გამოცდილების კოდს ტრანსნაციონალური განათლების საკითხებში დაეერუპული საკრედიტო ტრანსფერულ სისტემას (ჩთშ);

თვლის, რომ ევროსაბჭო და იუნესკო ყოველთვის ხელს უწყობენ აკადემიურ მობილობას, როგორც სხვადასხვა კულტურებისა და ენების უკეთესად გაგების საშუალებას ნებისმიერი ფორმის რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური თუ სექსუალური დისკრიმინაციის გარეშე;

თვლის, რომ უცხო ქვეყანაში სწავლა ან მუშაობა ხელს უწყობს პიროვნების კულტურულ და აკადემიურ ზრდას ისევე, როგორც პიროვნული კარიერის პერსპექტივას;

თვლის, რომ კვალიფიკაციების ცნობა არის უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობა როგორც აკადემიური, ისე პროფესიული მობილობისათვის;

რეკომენდაციას აძლევს ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის შესახებ კონვენციას წევრი ქვეყნების მთავრობებს :

- i. გაითვალისწინონ ცნობის თავისი პოლიტიკის ჩამოყალიბებისას თანდართულ დამატებაში მოყვანილი პრინციპები;

- ii. მიიტანონ ეს პრინციპები ამ საკითხებთან დაკავშირებულ კომპეტენტურ ორგანოებთან, ისე რომ მათ გაითვალისწინონ ისინი;
- iii. ხელი შეუწყონ ამ პრინციპების დანერგვას სახელმწიფო სააგენტოებისა და ადგილობრივი და რეგიონალური ავტორიტეტების მიერ, აგრეთვე, მათი ავტონომიის ფარგლებში უმაღლესის სასწავლებლების მიერ;
- iv. უზრუნველყონ, რომ ამ რეკომენდაციებმა მიაღწიონ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობასთან;

სთხოვს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანსა და იუნესკოს გენერალურ დირექტორს, როგორც სათანადო პირებს, გაავრცელონ ეს რეკომენდაციები იმ ქვეყნების მთავრობებში, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ლისაბონის ცნობის კონვენციის დაიპლომატიურ კონფერენციაზე, მაგრამ არ გახდნენ კონვენციის წევრები.

უცხოური კვალიფიკაციებისა და სწავლების პერიოდის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმების შესახებ რეკომენდაციების დანართი

I. ზოგადი ნაწილი

1. წინამდებარე რეკომენდაციები მიღებულია ლისაბონის კონვენციის ჩარჩოებში და ეხება კონვენციის მონაწილე წევრ ქვეყნებს. პრინციპები და პრაქტიკა აღწერილი ამ რეკომენდაციებში შეიძლება, ცხადია, გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნებში გაცემული კვალიფიკაციების ცნობის მიზნით, ან იმ ქვეყნების კვალიფიკაციების ცნობისათვის, რომლებიც არ არიან ლისაბონის კონვენციის წევრები.

2. რეკომენდაციები შედგენილია სერტიფიკატების პროფესიონალი შემფასებლების საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით და, იძლევა შემდგომი გაუმჯობესების საშუალებას. რეკომენდაციების დებულებები გათვალისწინებულია იმ შემთხვევების ცნობისათვის, როცა საჭიროა კომპლექსური შეფასებები. გასაგებია, რომ კარგად ცნობილი კვალიფიკაციების შემთხვევებში, შეიძლება უფრო მარტივი გზების გამოყენება.

II. განსაზღვრებები

3. გამოყენებულ ტერმინებს იგივე აზრი აქვთ, როგორც ლისაბონის ცნობის კონვენციაში და მათი ნახვა შეიძლება კონვენციის I ნაწილში.

III. ზოგადი პრინციპები

4. უცხოური კვალიფიკაციის მფლობელებს, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ ადეკვატური დაშვება მათი კვალიფიკაციების შესაფასებლად.

5. უცხოური კვალიფიკაციის შეფასების შემცველი დებულებები, მუტატის მუტანდის, უნდა გამოიყენებოდეს სწავლების პერიოდის შეფასებისთვისაც.

6. უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები უნდა იყოს გამჭვირვალე, თანამიმდევრული და საიმედო, და ისინი პერიოდულად უნდა

გადაისინჯონ გამჭვირვალობის გაზრდისა და პროცედურაში დრომოჭმული სირთულეების მოშორების მიზნით.

7. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისას საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოები მოქნილად უნდა იქნას გამოყენებული იმ მიზნით, რომ ცნობა გახდეს შესაძლებელი. იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონები წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე რეკომენდაციებთან, ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია გულდასმით განიხილონ ეროვნული კანონები მათი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

8. თუ, შემთხვევის სრული განხილვის შემდეგ, ცნობის კომპეტენტური ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ კვალიფიკაციის ცნობა შეუძლებელია მაძიებლის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა განიხილოს ცნობის ალტერნატიული ფორმები.

9. ყველა შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება საწინააღმდეგოა მაძიებლის მოთხოვნის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცნობის არავითარი ფორმა არ არსებობს, ცნობის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა აცნობოს მაძიებელს თავისი გადაწყვეტილების მიზეზები და ის, თუ სად შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

10. ამ რეკომენდაციებში შესული შეფასების კრიტერიუმები შედგენილი იყო ისე, რომ უცხოური კვალიფიკაციებისთვის პროცედურების და კრიტერიუმების გამოყენება დაახლოვებით ერთნაირი ყოფილიყო მთელ ევროპაში ცნობის ანალოგიურ შემთხვევებისათვის. გარდა ამისა ცხადია, რომ ცნობის გადაწყვეტილების მიღებისას მეტად მნიშვნელოვანია მოქნილობა და რომ გადაწყვეტილებები გარკვეული აზრით შეიცვლება გამომდინარე განათლების ეროვნული სისტემებიდან.

11. ამ დოკუმენტში მოყვანილი რეკომენდაციები მიმართულია იქითკენ, რომ შეფასების პროცედურა უფრო თანამიმდევრული და გამჭვირვალე გახადონ და დაარწმუნონ ყველა მაძიებელი მათი მოთხოვნის მიუკერძოებელ განხილვაში. რეკომენდაციები პროცედურის შესახებ და კრიტერიუმები, რომელთა შესრულება სავალდებულოა არ არის დამოკიდებული რა ფორმა აქვს შეფასების პროცედურის შედეგს:

- i. გადაწყვეტილება ცნობის შესახებ;
- ii. რჩევა, რომ ცნობის კომპეტენტურმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება;
- iii. მიმართვა პირის (პირების), დაწესებულების (დაწესებულებების) ან სხვათა მიმართ.

რეკომენდირებულია, რომ ჰქონდეს დაშვება შეფასებაზე შესაბამის შემთხვევაში.

12. რადგან შეფასების მიზანია მაძიებლის უცხოური კვალიფიკაციის ხარისხობრივი შეფასება, ხარისხობრივი კრიტერიუმები უნდა იყოს გამოყენებული გარკვეულად გაფართოებულ საზღვრებში. მათი გამოყენება, ცხადია, შეზღუდული უნდა იყოს იმ შემთხვევებით, როდესაც რაოდენობრივი კრიტერიუმები შეესაბამება ხარისხობრივს და წარმოადგენს ხარისხობრივი კრიტერიუმების დამატებას.

IV. შეფასების პროცედურა

ინფორმაცია მაძიებლისათვის

13. ცნობის კომპეტენტურმა ორგანომ წერილობით უნდა დაადასტუროს მაძიებლისაგან

საბუთების მიღება.

14. ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრებმა, ცნობის კომპეტენტურმა ორგანოებმა და სხვა შემფასებელმა სააგენტოებმა უნდა გამოაქვეყნონ სტანდარტიზებული ინფორმაცია უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ. ეს ინფორმაცია ავტომატურად უნდა გადაეცეს ყველა მამიებელს და იმ პირებს, რომელთაც სურთ წინასწარი ინფორმაციის მიღება მათი უცხოური კვალიფიკაციების შეფასების შესახებ.

15. დრო, საჭირო კვალიფიკაციის ცნობის მისაღებად, შეიცავს მამიებლებისაგან ინფორმაციის მიიღებისათვის და/ან მამიებლისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო დროს. მამიებელმა უნდა გაიაროს ყველა შესაძლო პროცედურა შეძლებისმაგვარად სწრაფად; პროცედურის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს.

16. ეროვნული საინფორმაციო ცენტრები, ცნობის კომპეტენტური ორგანოები და სხვა შემფასებელი სააგენტოები ვალდებული არიან მოთხოვნის მიხედვით მამიებელს მისცენ რჩევები მათი უცხოური კვალიფიკაციის ცნობისა ან შეფასებისათვის ფორმალური თხოვნის შემოტანის შესაძლებლობისა და პროცედურის შესახებ. თუ საჭიროა, პიროვნების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იყოს გაცემული არაფორმალური რჩევები როგორც მამიებლის კვალიფიკაციის ფორმალური შეფასების პროცესში, ისე მის შემდეგაც.

17. ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრებმა და კომპეტენტურმა რეგიონალურმა ორგანოებმა უნდა შეადგინონ ცნობის ტიპური შემთხვევების აღწერა და/ან სხვა ქვეყნების საკუთარი ქვეყნის განათლების სისტემასთან შედარებითი მიმოხილვა, იმისთვის, რომ ცნობის გადაწყვეტილება გახადონ თანამიმდევრული. მათ უნდა განიხილონ საკითხი, შეიძლება თუ არა ამ ინფორმაციის მიწოდება მამიებლისთვის იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია შეიცავდეს მხოლოდ მითითებებს და რომ ყოველი მამიებელი შეფასებული იქნას ინდივიდუალურ საფუძველზე.

ინფორმაცია კვალიფიკაციებზე, რომლისთვისაც ხდება ცნობის მიღება

18. პასუხისმგებლობას ინფორმაციის გაცემაზე იმ კვალიფიკაციების შესახებ, რომლისთვისაც ხდება ცნობის მიღება იყოფენ მამიებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც იყო გაცემული განსახილველი კვალიფიკაცია და შეფასების ჩამტარებელი ცნობის კომპეტენტური ორგანო, როგორც ეს განსაზღვრულია ლისაბონის ცნობის კონვენციაში, კერძოდ, მის III.3 და III.4 მუხლებში. უმაღლესი განათლების დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაცია გასცენ დიპლომის დანართები, კერძოდ, დოკუმენტების შემფასებელთა და პოტენციური დამქირავებლებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციების ცნობის გამარტივების მიზნით.

19. იმ შემთხვევაში თუ ლტოლვილები ან ლტოლვილთამაგვარ სიტუაციაში მყოფი პირები საპატიო მიზეზით ვერ წარმოადგენს დამხმარე საბუთს, დოკუმენტების შემფასებელს ეძლევა რეკომენდაცია შექმნას ახალი საბუთი კვალიფიკაციისა და სწავლების პერიოდიც შესახებ ხელმისაწვდომი საბუთებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე.

გადასახადი

20. ცნობის კომპეტენტურმა ორგანიზაციებმა და შეფასების სხვა სააგენტოებმა თვითონ

უნდა განიხილონ საკითხი უცხოური კვალიფიკაციის შეფასების უფასოდ ჩატარების შესახებ. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, მაშინ გადასახადის ოდენობა უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე და არ უნდა იყოს ისე მაღალი, რომ შეუქმნას ბარიერი უცხოეთის კვალიფიკაციის შეფასებას.

21. გადასახადის ოდენობის დაწესებისას უნდა გათვალისწინებული იყოს ცხოვრების ღირებულება, ხელფასების დონე და სტუდენტის ფინანსური დახმარება მაძიებლის ქვეყანაში. უნდა განიხილოს სპეციალური ღონისძიებანი ხელმოკლე ჯგუფების წარმომადგენელთა, ლტოლვილთა და ადგილმაცვალ პირთა მიმართ იმ აზრით, რომ არც ერთ მაძიებელს არ ეთქვას უარი უცხოური კვალიფიკაციის ცნობაზე გადასახადის მაღალი ოდენობის გამო.

22. ყოველგვარი გადასახადი, დაწესებული უცხოური კვალიფიკაციების შესაფასებლად, გამონაკლისის გარეშე, უნდა იქნას გადახდილი კვალიფიკაციის შემფასებელი ქვეყნის ვალუტაში.

თარგმნა

23. მოთხოვნები საბუთების თარგმნის შესახებ უნდა იყოს ზუსტად გამოზომილი და ნათლად განსაზღვრული, სჯობს, თარგმანი დამოწმებული იყოს სათანადო რწმუნების მქონე თარგმნის მიერ. უნდა განისაზღვროს ეხება თუ არა თარგმნის მოთხოვნები მხოლოდ საკვანძო საკითხებს და შეიძლება თუ არა საბუთები რომელიმე უცხოურ ენაზე ცნობის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნას თარგმნის გარეშე. დაინტერესებულ ქვეყნებს მოვუწოდებთ გადახედონ იმ მოქმედ კანონებს, რომლებიც კრძალავენ უცხო ენაზე შესრულებული საბუთების მიღებას თარგმნის გარეშე.

24. როგორც წესი, უცხოური კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოცემული იყოს მშობლიურ ენაზე თარგმნის გარეშე.

საბუთების ავთენტურობის დამოწმება

25. ფალსიფიცირებული დიპლომებისა და სხვა საბუთების რაოდენობის ზრდის ფონზე საბუთების ავთენტურობის დამტკიცებას უდიდესი როლი ენიჭება. ასეთმა დამტკიცებამ უნდა დაადგინოს:

- i. არის თუ არა განსახილველი საბუთი ჭეშმარიტი, ე. ი., გაცემულია იგი მასში მითითებული დაწესებულების მიერ, თუ უკანონოდ არის შეცვლილი მაძიებლის ან სხვა პირის მიერ? და
- ii. იყო თუ არა განსახილველი საბუთი გაცემული ყველა წესის დაცვით?

26. თუმცა საბუთების ავთენტურობის დადგენა წარმოადგენს შეფასების პროცედურის რეალურ ნაწილს, იგი, ამის მიუხედავად, არის დამამძიმებელი გარემოება მაძიებლისთვის. ამიტომ პროცედურის ძირითადი საფუძველი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ მაძიებელთა უმეტესობა პატიოსანია, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან წარუდგინონ ცნობის კომპეტენტურ ორგანოებს ავთენტურობის უტყუარი საბუთი იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორგანოებს შეაქვთ ეჭვი საბუთის სიყალბეში. თუმცა უმეტეს შემთხვევაში საკმარისია საბუთების სერტიფიცირებული ასლების წარდგენა, ცნობის კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ უფლება მოითხოვონ ორიგინალური საბუთები იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა შემოწმების მიზნით ან ყალბი საბუთების თავიდან ასაცილებლად.

27. ქვეყნებს მოვუწოდებთ გადასინჯონ ის ეროვნული კანონები, რომლებიც მოითხოვენ მეტად გართულებულ და ძვირადღირებულ აუტენტიფიკაციის პროცედურას, მაგალითად, ყველა საბუთის სრულ ლეგალიზაციას. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები საბუთების ავთენტურობის დადგენის ნაკლებად გართულებულ საშუალებებს იძლევა. მაძიებლის სამშობლო ქვეყნის ცნობის კომპეტენტურ ორგანოებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოვეწოდებთ რბილად და დადებითად გამოეხმაურონ მოთხოვნებს იმ საბუთებზე ინფორმაციის შესახებ, რომლებიც მათ მიერ გაცემულად ცხადდება.

28. ლტოლვილ და ადგილნაცვალ პირთა, აგრეთვე იმათ მიმართ, ვინც დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებს თავისი კვალიფიკაციის დასაბუთებას, უნდა განიხილოს განსახილველი კვალიფიკაციის ცნობის ალტერნატიული გზები. ასეთი ზომები უნდა მიესადაგოს მათი ცნობის მოთხოვნის სიტუაციას და უნდა შეიცავდეს სპეციალურად ორგანიზებულ გამოცდებს, ინტერვიუს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებთან და/ან ცნობის კომპეტენტურ ორგანოსთან და ფიცით დამოწმებულ მტკიცებას იურიდიულად კომპეტენტური ორგანოს წინაშე.

V. შეფასების კრიტერიუმები

დაწესებულების სტატუსი

29. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდი მრავალფეროვნების გამო კვალიფიკაციის სტატუსი არ შეიძლება დადგინდეს იქნას იმ დაწესებულებისა და/ან პროგრამის სტატუსის გათვალისწინების გარეშე, სადაც იქნა მოპოვებული განსახილველი კვალიფიკაცია.

30. შემფასებელმა სააგენტომ უნდა დაადგინოს ეკუთვნის თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ლისაბონის ცნობის კონვენციის მონაწილე და/ან ევროპის რეგიონის ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიაწია კვალიფიკაცია ანალიზი იუნესკო/ევროსაბჭოს მოწინავე გამოცდილების კოდის სერთაშორისო განათლებასთან დაკავშირებული დებულებების საფუძველზე.

31. ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ფორმალური შეფასების სისტემა. კვალიფიკაციების შეფასებისას ასეთი სისტემებისთვის შემფასებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ფორმალური შეფასების პროცესი.

ინდივიდუალური კვალიფიკაციების შეფასება

32. უცხოური კვალიფიკაციების ცნობის ძიება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიზნისათვის. შეფასების დროს ეს მიზნები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და ცნობის საბუთის გაცემისას უნდა მიეთითოს, რა მიზნებისთვის გამოდგება გაცემული საბუთი.

33. შეფასების დადებითი დასკვნის გამოტანამდე, ცნობის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაადგინოს ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებიდან რომელი შეესაბამება მოცემულ შემთხვევას და მოითხოვენ თუ არა ისინი სპეციალური გადაწყვეტილების მიღებას ან რაიმე პროცედურის ჩატარებას.

34. ცნობის პრაქტიკა თანმიმდევრულად ჩატარებისათვის შეფასების დროს

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადრე ჩატარებული ცნობის ანალოგიური შემთხვევები. შეფასებისას სათანადო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ წარსული გამოცდილებით და ყოველი მნიშვნელოვანი ცვლილება პროცედურაში უნდა დასაბუთონ.

35. უცხოური კვალიფიკაციების შეფასებამ უნდა მოახდინოს კვალიფიკაციის იდენტიფიკაცია იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში, სადაც ხდება ცნობის მიება და მოიძებნოს უცხოურ კვალიფიკაციასთან ყველაზე ახლო მყოფი ადგილობრივი კვალიფიკაცია, იმ მიზნის გათვალისწინებით რისთვის ხდება ცნობის მიება. თუ კვალიფიკაცია ეკუთვნის მხოლოდ უცხოეთის განათლების სისტემას, მაშინ შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი შედარებითი ადგილი და ფუნქცია ამ კვალიფიკაციის შესაბამის სისტემაში.

36. დაახლოებით ერთნაირი დონის კვალიფიკაციები შეიძლება აღმოჩნდნენ მნიშვნელოვნად განსხვავებულნი შინაარსის, პროფილისა და სწავლების გამოსავლის თვალსაზრისით. უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისას ეს განსხვავებები უნდა განიხილებოდეს საკმაოდ რბილად და მხოლოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები საძიებელ მიზნებში შეიძლება გახდეს უცხოური კვალიფიკაციის ნაწილობრივი ცნობის ან არცნობის მიზეზი.

37. კვალიფიკაცია უნდა იქნას ცნობილი იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავებების მოყვანა მამიებლის კვალიფიკაციასა და შესაბამის კვალიფიკაციას შორის ქვეყანაში, სადაც ხდება მისი მიება. ამ პრინციპის გამოყენებით შეფასებამ უნდა დაადგინოს:

- (ა) არის თუ არა სწავლის გამოსავალი უცხოურ კვალიფიკაციასა და შესაბამის კვალიფიკაციას შორის ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის მიება, იმდენად განსხვავებული, რომ მამიებელს უარი ეთქვას მის მიერ მოთხოვნილი ფორმით კვალიფიკაციის ცნობაზე. უარის შემთხვევაში შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა კვალიფიკაციის ალტერნატიული და/ან პირობითი ცნობა;
- (ბ) არის თუ არა შემდგომ საქმიანობაზე (მაგალითად, შემდგომი სწავლა, სამეცნიერო კვლევები, საქმოსნობა) ნებართვის მიცემა უცხოურ კვალიფიკაციასა და შესაბამის კვალიფიკაციას შორის ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის მიება, იმდენად განსხვავებული, რომ მამიებელს უარი ეთქვას მის მიერ მოთხოვნილი ფორმით კვალიფიკაციის ცნობაზე. უარის შემთხვევაში შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა კვალიფიკაციის ალტერნატიული და/ან პირობითი ცნობა;
- (გ) არის თუ არა პროგრამების საკვანძო ელემენტები უცხოურ კვალიფიკაციასა და შესაბამის კვალიფიკაციას შორის ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის მიება, იმდენად განსხვავებული, რომ მამიებელს უარი ეთქვას მის მიერ მოთხოვნილი ფორმით კვალიფიკაციის ცნობაზე. უარის შემთხვევაში შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა კვალიფიკაციის ალტერნატიული და/ან პირობითი ცნობა. პროგრამების ელემენტების შედარებისას, ცხადია, უნდა მოხდეს შედარება მხოლოდ გამოსავალსა და მომავალ საქმიანობაზე ნებართვის მიცემას შორის და ეს შედარება არ უნდა განიხილოს, როგორც თავისთავად ცნობის აუცილებელი პირობა;

(დ) არის თუ არა პროგრამის და/ან ინსტიტუტის ხარისხი, სადაც მიღებულია კვალიფიკაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის მისარებად საჭირო პროგრამის და/ან ინსტიტუტის ხარისხსთან შედარებით ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის მიება, იმდენად განსხვავებული, რომ მაძიებელს უარი ეთქვას მის მიერ მოთხოვნილი ფორმით კვალიფიკაციის ცნობაზე. უარის შემთხვევაში შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა კვალიფიკაციის ალტერნატიული და/ან პირობითი ცნობა.

38. თუ უცხოურ კვალიფიკაციას სამშობლოში ეძლევა რაღაც ფორმალური უფლებები, მაშინ კვალიფიკაცია ისე უნდა შეფასდეს, რომ მის მფლობელს მიეცეს ანალოგიური ფორმალური უფლებები მასპინძელ ქვეყანაშიც, თუ ამგვარი იქ არსებობს და თუ ისინი გამომდინარეობენ კვალიფიკაციით დამოწმებული ცოდნიდან და დახელოვნებიდან.

39. რამდენიმე წლის წინ გაცემული კვალიფიკაციის ცნობა შეიძლება უფრო პრობლემატური გახდეს, ვიდრე ახლადგაცემული კვალიფიკაციისა. კვალიფიკაციის გადავადება დამოკიდებულია სპეციალობაზე და საქმიანობაზე, რომელსაც ეწეოდა მაძიებელი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ. ზოგადად, ადრე გაცემული კვალიფიკაციები ისევე უნდა იყოს ცნობილი, როგორც ანალოგიური კვალიფიკაციები, გაცემული იმ ქვეყანაში, სადაც ხდება კვალიფიკაციის მიება.

40. ცნობის კომპეტენტურმა ორგანოებმა და სხვა შემფასებელმა სააგენტოებმა უნდა განიხილონ საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, როგორც პროგრამის დასრულებისას მიღწეული დონის მხოლოდ ერთ-ერთი მაჩვენებელი. ამგვარად, ცნობის გაუცემლობის გადაწყვეტილება სწავლის ხანგრძლივობის გარდა უნდა იყოს მოტივირებული აგრეთვე სხვა ფაქტორებითაც. მნიშვნელოვანმა განსხვავებებმა განსახილველი კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო პროგრამის ხანგრძლივობაში უნდა მიგვიყვანონ იმ დასკვნამდე, რომ ასეთივე მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს მაძიებლის საგანმანათლებლო მიღწევებსა და შემდგომი საქმიანობის შესაძლებლობებში. უმაღლესი საგანმანათლებლო კვალიფიკაციის შემთხვევაში ერთი ან მეტი წლის განსხვავება შეიძლება განიხილოს როგორც მნიშვნელოვანი. უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო დაშვების კვალიფიკაციის შემთხვევაში კი ორი ან მეტი წლის განსხვავება შეიძლება განიხილოს როგორც მნიშვნელოვანი.

41. უცხოური კვალიფიკაციის ცნობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ კვალიფიკაციაზე, რომლისთვისაც ხდება ცნობის მიება. წინა დონეები უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დონეებს აქვთ სერიოზული გავლენა შეფასების გამოსავალზე და შეძლებისდაგვარად უნდა იყვნენ შეზღუდულნი საძიებელი კვალიფიკაციის უშუალოდ მომდევნო კვალიფიკაციით.

42. შეფასების ჩატარებისას ცნობის კომპეტენტურმა ორგანოებმა და სხვა შემფასებელმა სააგენტოებმა უნდა გამოიყენონ თავისი კონო-ჰოწ და საუკეთესო პროფესიული ოსტატობა და გაეცნონ ამ საკითხთან დაკავშირებულ არსებულ ინფორმაციას. კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სწავლის გამოსავლის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, უნდა შეიქმნას პრეცედენტი კვალიფიკაციის მისაღწევად საჭირო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში.

VI. შეფასების შედეგი

43. ეროვნული კანონიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, უცხოური კვალიფიკაციის

შეფასების გამოსავალი შეიძლება იღებდეს ასეთ ფორმას:

- i. გადაწყვეტილება ცნობის შესახებ;
- ii. მიმართვა სხვა დაწესებულებაში, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ცნობის შესახებ;
- iii. მიმართვა მაძიებლისადმი ან მათდამი, ვისაც ეს ეხება (მაგ., დამქირავებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ა.. შ.) და ვინც აწარმოებს უცხოური კვალიფიკაციების შედარებას იმ ქვეყნის კვალიფიკაციებთან, სადაც ხდება ცნობის ძიება, ცნობის ფორმალური გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე.

44. ENIC-ის ქსელმა ისევე, როგორც კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა დაამუშაონ შეფასების დასკვნების სტანდარტიზაციის მოდელები ევროპულ და/ან ეროვნულ დონეზე. საერთაშორისო ცნობის გასამარტივებლად შემფასებელმა სააგენტოებმა უნდა რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ ეს სტანდარტიზებული დასკვნები.

45. როდესაც მაძიებლის მოთხოვნის მიხედვით ცნობის აღიარება შეუძლებელია, კომპეტენტურმა ორგანოებმა ან შემფასებელმა სააგენტოებმა რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება ზუსტად უნდა დაეხმარონ მაძიებელს იმ დონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც მას შემდგომში დაეხმარება ცნობის მიღწევაში.

განმარტებითი მემორანდუმი

პრეამბულა

პრეამბულა ადგენს ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ევროპის საბჭოსა და იუნესკოს (ის რაც ეხება ევროპის რეგიონს) კანონმდებლობიდან გამომდინარე ცნობის საკანონმდებლო ჩარჩოებს. სპეციალური ყურადღება ექცევა ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციას, რომელიც დამუშავებული იყო ორივე ორგანიზაციის მიერ და მიიღეს 1997 წლის 11 აპრილს. კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წ. 1 თებერვალს. პრეამბულა აგებულია აგრეთვე უკანასკნელი წლების უმნიშვნელოვანეს მიღწევებზე კვალიფიკაციების საერთაშორისო ცნობაში, მათ შორის იმ შედეგებზე, რომელიც მიიღო კონფერენციამ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების შესახებ: “გეგმები მომავალი ათწლეულისთვის”, ორგანიზებულმა ევროსაბჭოს უმაღლესი განათლებისა და კვლევის კომიტეტის მიერ (მალტა, 1994 წლის 26–28 ოქტომბერი) და სემინარებმა საგანმანათლებლო საბუთების შეფასების შესახებ, ორგანიზებულმა საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციისა (I) და შ -ს: საერთაშორისო განმანათლებლების ასოციაციის მიერ 1994-95 წლებში. იმ კვალიფიკაციების შემთხვევაში, რომლებიც გაცემულია საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, პრეამბულა აგებულია იუნესკო/ევროსაბჭოს მოწინავე გამოცდილების კოდის საერთაშორისო განათლების დებულებების საფუძველზე.

III. ზოგადი პრინციპები

პარაგრაფები 4 – 11

რეკომენდაციები ნათლად უსვამენ ხაზს მაძიებლის უფლებას მიაღწიოს უცხოური კვალიფიკაციის შეფასებას გამჭვირვალე, თანამიმდევრული და საიმედო პორცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

ცნობის კომპეტენტური ორგანოები მაქსიმალურად უნდა ეცადონ ცნონ მაძიებლის უცხოური კვალიფიკაცია. თუ ეს შეულებელია, რეკომენდაცია ცნობის კომპეტენტური ორგანოებისაგან დაბეჯითებით ითხოვს ცნობის ალტერნატიული ფორმების განხილვას. ალტერნატიული ფორმები შეიძლება შეიცავდნენ ასეთ შემთხვევებს:

- (ა) უცხოური კვალიფიკაციის ექვივალენტობის ცნობა მასპინძელი ქვეყნის შესაბამის კვალიფიკაციასთან და არა მაძიებლის მიერ მოთხოვნილ კვალიფიკაციასთან;
- (ბ) უცხოური კვალიფიკაციის ნაწილობრივი ცნობა;
- (გ) უცხოური კვალიფიკაციის სრული ან ნაწილობრივი ცნობა მაძიებლის მიერ დამატებითი გამოცდის ან მაპროფილზელი ტესტის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში;
- (დ) უცხოური კვალიფიკაციის სრული ან ნაწილობრივი ცნობა საცდელი პერიოდის ბოლოს, შესაძლებელია სპეციალური პირობების გათვალისწინებით.
- (ე) ნაწილობრივი ცნობა ან ცნობა, დაფუძნებული სპეციალური პირობების შესრულებაზე, ცხადია, არ გულისხმობს მაძიებლის ავტომატურ დაშვებას კურსებზე, რომელიც გამიზნულია მის მიერ ცნობის მიღების შემაფერხებელი ნაკლის აღმოსაფხვრელად.

სპეციალური პირობების დაკმაყოფილების ნაწილობრივი ცნობა არ გულისხმობს, ცხადია,

ავტომატურ ნებართვას ისეთ კურსებზე დასაშვებათ, რომლებიც დაეხმარებიან აპლიკანტს ცნობის მიღებისათვის არსებული ნაკლის გამოსწორებაში.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობის კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ შეუძლებელია გამოინახოს ალტერნატიული ფორმაც კი, მაძიებელს შეიძლება ეთქვას საბოლოო უარი. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცნობის არ გაცემის შემთხვევაში გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს “ობიექტური ცნობა”.

როდესაც ცნობის გადაწყვეტილება განსხვავდება მაძიებლის მიერ მოთხოვნილი გადაწყვეტილებისაგან, ცნობის კომპეტენტური ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი და გააცნოს მაძიებელს გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებები. ეს მნიშვნელოვანია როგორც მაძიებლისათვის გასაჩივრების საშუალების მიცემით, ასევე იმით, რომ მაძიებელმა გამოინახოს ცნობის მოგვიანებით მიღების საშუალება. ამის მიუხედავად ცნობის კომპეტენტური ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

პარაგრაფი 12

უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის დროს არსებობს დიდი ხნის დილემა. თუმცა შეფასების მიზანი არის უცხოური კვალიფიკაციების ხარისხობრივი შეფასება, მისი ჩატარება შეძლებელია ხარისხობრივთან ერთდროულად რაოდენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე. ცხადია, მნიშვნელოვანია გამოყენებული კრიტერიუმები ისეთნაირად შერჩევა, რომ შეიძლებოდეს საძიებელი კვალიფიკაციის ხარისხისა და მაძიებლის მიერ საძიებელი საქმიანობის (მაგალითად, შემდგომი სწავლა, სამეცნიერო კვლევები, საქმოსნობა) განახორციელების შესაძლებლობის დამაკმაყოფილებელი მითითება. მაგალითად, სტუდენტები, რომელთაც აქვთ მაღალი მოსწრება (ნიშნები), შეიძლება საკმაო პოტენციალის მქონედ ჩაითვალოს სწავლისა და ინდივიდუალური განვითარებისთვისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საძიებელი კვალიფიკაცია მიღებულია საგანმანათლებლო სისტემაში ან ინსტიტუტში, რომელის დონე ითვლება მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონედ, ვიდრე მასპინძელი ქვეყანაში. ამ შემთხვევაში შეფასების შედეგი დამოკიდებულია იმაზე, რას აპირებს მაძიებელი: სწავლის გაგრძელებას, თუ მუშაობას. ბოლო შემთხვევაში, ცნობის გაცემა შეიძლება გაძნელდეს, რამდენადაც კვალიფიკაცია იძლევა ისეთი საქმიანობის საფუძველს, რომელიც გავლენას ახდენს სხვა მოქალაქეებზე და არ არსებობს მისი გადამზადებით გაუმჯობესების გარანტია.

მთავარი სიძნელე, რომელზედაც არ არსებობს გარკვეული პასუხი, არის ხარისხის შეფასების სურვილის შეთანხმება “ობიექტური” კრიტერიუმებით ნაგულისხმევ გამჭვირვალობისა და ანგარიშების მოთხოვნასთან. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაწყვეტილება დაეფუძნოს ხარისხობრივი კრიტერიუმების შეზღუდულ რიცხვს (მაგალითად, სწავლის ხანგრძლივობა) მაძიებლის კვალიფიკაციის ხარისხის შეფასების მცდელობის გარეშე. მხოლოდ ხარისხობრივი კრიტერიუმების მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიძლება ვალიაროთ ხარისხის განსხვავების მაჩვენებლად.

IV. შეფასების პროცედურა

პარაგრაფი 14

პარაგრაფი შეიცავს ინფორმაციას, რომლითაც უნდა უზრუნველყონ ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრებმა და ცნობის კომპეტენტურმა ორგანოებმა მაძიებელი

განცხადების მიღების შემდეგ, სტანდარტული ინფორმაცია უნდა შედგებოდეს ასეთი ელემენტებისაგან:

- i. საჭირო დოკუმენტების სია, საბუთების აუტენტიფიკაციის და თარგმნის მოთხოვნით;
- ii. შეფასების პროცესის აღწერა ეროვნული საინფორმაციო ცენტრების, სხვა შემფასებელი სააგენტოების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის მითითებით;
- iii. შეფასების კრიტერიუმების აღწერა;
- iv. ცნობის აღიარების სტატუსი;
- v. პროცესის ჩასატარებლად საჭირო მიახლოებითი დრო;
- vi. შეფასების ღირებულება;
- vii. უცხოური კვალიფიკაციის შეფასებისთვის საჭირო ეროვნული კანონების, საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების მითითება;
- viii. ცნობის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის საჭირო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი პირობები და პროცედურები;

პრინციპში ცნობის გადაწყვეტილების გასაჩივრება ადვილად უნდა ხდებოდეს და ცნობის კომპეტენტური ორგანო მოვალეა გააფრთხილოს მამდიებელი ასეთი საჩივრის შედეგების და ფორმალური ასპექტების (მაგალითად, შეტანის ბოლო ვადა) შესახებ. რეკომენდირებულია ამ ინფორმაციის გაცემა განცხადების მიღების დროს, ნაწილობრივ მამდიებლის რაც შეიძლება სრული ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით და ნაწილობრივ იმით, რომ გამოირიცხოს კავშირი შეფასების შედეგის მიღებასა და მისი გასაჩივრების შესაძლებლობას შორის, რაც მამდიებლის მიერ შეიძლება ჩაითვალოს როგორც მოწოდება გასაჩივრებისაკენ, თუმცა გასაჩივრების დადებითად გადაწყვეტის შანსი შეიძლება მინიმალური იყოს. შემფასებელ სააგენტოებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ, მოაწერინონ თუ არა მამდიებელს ხელი იმაზე, რომ იგი გაეცნოს ინფორმაციას გასაჩივრების შესაძლებლობისა და პროცედურის შესახებ.

პარაგრაფი 15

პარაგრაფში აღნიშნება ცნობის კომპეტენტურ ორგანოს მოვალეობა განსაზღვროს ცნობის განცხადების განხილვისა და მამდიებლისთვის უარის შეტყობინებისათვის საჭირო ნორმალური ვადა. ის აგრეთვე განსაზღვრავს დროის ათვლის “საწყის წერტილს”; ასე, დროის ათვლა იწყება იმის შემდეგ, რაც ცნობის კომპეტენტური ორგანო მიიღებს ყველა შესაძლო ინფორმაციას. შეფასება უნდა ჩატარდეს და დასრულდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ნებისმიერმა შეფასებამ, გაგრძელებულმა ოთხ თვეზე მეტ ხანს, შეიძლება სერიოზულად დააყოვნოს მამდიებლის შემდგომი სწავლება ან სამუშაოს დაწყება, ან აიძულოს იგი გაიაროს დამატებითი სწავლება გარკვეულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სინამდვილეში მისი უცხოური კვალიფიკაციის შეფასების შედეგად შეიძლება დაკმაყოფილებული აღმოჩნდნენ. ამგვარად, ოთხი თვე უნდა განიხილებოდეს როგორც მაქსიმალური ვადა კვალიფიკაციის ცნობის პროცესისათვის; მარტივ შემთხვევებში, როგორც წესი, შეფასება უფრო ჩქარა უნდა ჩატარდეს.

პარაგრაფი 17

თუ ცნობის გადაწყვეტილების მიღება ხდება გარკვეულ ჩარჩოებში, ეს მეტად მნიშვნელოვანია უცხოური კვალიფიკაციის ცნობის დამუშავების გამჭვირვალობისა და

თანამიმდევრულობის დასამტკიცებლად. დაუშვებელია, რომ ცნობის ანალოგიური შემთხვევები განიხილებოდეს განსხვავებული მიდგომებით და მიიღებოდეს სხვადასხვა გადაწყვეტილებები. ცნობის ტიპური შემთხვევების განხილვა შეიძლება სასარგებლო იყოს საჭირო თანამიმდევრულობის დასამტკიცებლად.

მაძიებლისთვის ასეთი ინფორმაციის მიცემის საკითხი ზოგჯერ გართულებულია. ერთი მხრივ, ინფორმაცია დაეხმარება მაძიებელს განცხადების შედგენაში და იმაში, რომ გაერკვეს, რას უნდა მოელოდეს იგი რეალურად. ინფორმაცია ასევე დახმარებაა გადაწყვეტილების გასაჩივრების საქმეში. მეორე მხრივ, მაძიებელმა შეიძლება არასწორად გაიგოს, რომ ტიპურ შემთხვევას მოსდევს მისი საკუთარი კვალიფიკაციის “ავტომატური” ცნობა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციას ტიპური შემთხვევების შესახებ დაერთოს ამ ინფორმაციის დანიშნულების ნათელი განმარტება, სადაც ხაზი გაესმევა იმას, რომ განცხადებების განხილვა მოხდა ყველა შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

პარაგრაფი 18

საძიებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

- ა) ძირითადი პასუხისმგებლობა ცნობის კომპეტენტურ ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდებაზე ეკისრება მაძიებელს;
- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მიღებულია კვალიფიკაცია, ვალდებულია უზრუნველყოს მაძიებელი და/ან ცნობის კომპეტენტური ორგანო მისი კვალიფიკაციების შესახებ და სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციით (მაგალითად, ინფორმაცია კვალიფიკაციების სტრუქტურაზე, კურსების შინაარსზე და ა.შ.). უცხოური კვალიფიკაციების შინაარსის გასამარტად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს საშუალებები, ისეთი როგორცაა იუნესკო/ევროსაბჭოს დიპლომის დანართი და ინფორმაცია კრედიტების დაგროვებისა და გადაყვანის სისტემებზე – ჩთშ (უროპეან ჩრედიტ თრანსფერ შესტემ - კრედიტების გადაყვანის ევროპული სისტემა). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულება შეიძლება შემოიზღუდოს მაძიებლის და/ან შეფასების ჩამტარებელი ცნობის კომპეტენტურ ორგანოს შეკითხვაზე პასუხით;
- გ) ცნობის კომპეტენტური ორგანო პასუხისმგებელია უცხოური საგანმანათლებლო სისტემებისა და კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაციის სისტემის ჩამოყალიბებაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ცნობის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მაძიებელი შეფასების გავლისთვის საჭირო ინფორმაციის სრული მიმოხილვით. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია ცნობის კომპეტენტურ ორგანოს მოითხოვოს მონაცემები ამ მიმოხილვაში განსაზღვრული ინფორმაციის დამატებით, მაგრამ ეს მოთხოვნა არ უნდა გახდეს განსახილველი შეფასების ვადის გაგრძელების ან უარის თქმის მიზეზი. მაძიებელი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული არიან უზრუნველყონ სრული საჭირო ინფორმაციის მიწოდება ცნობის კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში.

პარაგრაფი 19

დამხმარე საბუთი რომლის საფუძველზე გაიცემა ცნობა უნდა:

- ეხმარებოდეს შემფასებელს აღადგინოს ლტოლვილის განათლების დონე ან ამარტივებდეს შეფასებას;
- ხელს უწყობდეს ლტოლვილს დაუმტკიცოს შემფასებელ ორგანიზაციებს, როგორცაა უნივერსიტეტები და დამქირავებლები, თავისი აკადემიური მიღწევები სწავლის გაგრძელების ან სამუშაოს მიღების თვალსაზრისით.

იმ პირთა განცხადებები, რომლებიც საპატიო მიზეზით აღმოჩნდნენ ლტოლვილთა მაგვარ მდგომარეობაში და არ შეუძლია საბუთების წარმოდგენა, კვალიფიკაციების შეფასება უნდა ხდებოდეს ანალოგიურად.

დამხმარე საბუთი თავისთავად არ შეიძლება იყოს შეფასება, მაგრამ იგი უნდა წარმოადგენდეს აკადემიური მიღწევების ავტორიტეტულ აღწერას ან რეკონსტრუქციას, დაკავშირებულს მიღწევად საბუთებსა და დამადასტურებელი მტკიცებულებებთან.

დამხმარე საბუთი წარმოადგენს:

1. მიღებული განათლების აღწერას მიღწევადი საბუთებითა და დამადასტურებელი მტკიცებულებებით
2. სპეციალურ საბუთს, შექმნილს დიპლომის დანართის საფუძველზე, რომელსაც გამოიყენებს შემფასებელი

აღწერის მაგალითი

მიღებული განათლება	
კვალიფიკაცია	მტკიცებულება
საშუალო განათლება	დიპლომი (ატესტატი)
უმაღლესი განათლება-პირველი ხარისხი	სტუდენტის პირადობის მოწმობა + პირველი წლის ნიშნების ფურცელი
უმაღლესი განათლება-მეორე ხარისხი მიღებული განათლება	არ არის განათლების საბუთები, მაგრამ არის მასწავლებლის დამოწმება + დამქირავებლის კონტრაქტი

პარაგრაფები 20 – 22

საფასურმა შეიძლება გააჭიანუროს ცნობის პროცედურა. თუ შეუძლებელია უცხოური კვალიფიკაციის უფასოდ გაცემა, იგი უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალი. უნდა გვახსოვდეს, რომ საფასური, დადებული ცნობის კომპეტენტური ორგანოს მიერ არის საბუთების თარგმნისა და/ან სერტიფიცირების საფასურის დამატება. წინამდებარე რეკომენდაციის დებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ სახელმწიფო ორგანოების მიერ მომსახურებაზე საფასურის დადების ზრდადი ტენდენციის ფონზე.

საფასური მნიშვნელოვნად იცვლება ევროპის სხვადასხვა რეგიონის მიხედვით. ძალიან ძნელია რაღაც ზოგადი რეკომენდაციის მოცემა საფასურთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, როგორცაა ცხოვრების საფასური, ხელფასების დონე და სტუდენტთა ეკონომიური დახმარება. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში დადებული საფასური უნდა განიხილებოდეს როგორც ზედმეტი. მაგალითად, უაზროა, თუ უცხოური კვალიფიკაციის შეფასების ღირებულება დაახლოებით იგივეა, რაც საშუალო თვიურ ხელფასი სახელმწიფო სექტორში.

პარაგრაფი 23

სრული ინფორმაციის მოპოვების მოთხოვნა გულისყურით უნდა განიხილოს, რათა მათი მოპოვება მძიმე ტვირთად არ დააწვეს მაძიებელს, ეს განსაკუთრებით ეხება საბუთის აუტენტიფიკაციასა და თარგმნას, რაც ბევრ დროს და ფულს მოითხოვს. აუტენტიფიკაციის განხილვისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რათა პატიოსანი მაძიებელი არ შეეურაცყოთ უპატიოსნო საქციელის ჩადენის ეჭვით. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში სჯობს მოვითხოვოთ მხოლოდ ძირითადი საბუთების – დიპლომების, მათი დამატებებისა და დაბადების მოწმობის – აუტენტიფიკაცია. განსახილველის, აგრეთვე, საკითხი, როდის შეიძლება ორიგინალების მაგივრად დამოწმებული ფოტოკოპირების მიღება. ყველა ეს მოთხოვნა ნათლად უნდა განემარტოს მაძიებელს.

თარგმნის საკითხის განხილვის დროსაც უნდა განისაზღვროს, რა შემთხვევებში შეიძლება შემოფარგვლა მხოლოდ ძირითადი საბუთებით. მაგალითად, სულ არ არის სავალდებულო მოვითხოვოთ მაძიებელს სასწავლო გეგმის დეტალური თარგმნა. ზუსტად უნდა განისაზღვროს თარგმნის სათანადო რწმუნების მქონე თარჯიმნის მიერ შესრულების აუცილებლობა. ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში ცნობის კომპეტეტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მაძიებელი ასეთი თარჯიმნების სიით. უნდა, აგრეთვე, განისაზღვროს, რა საბუთების მიღება შეიძლება თარგმნის გარეშე. ეს შეიძლება ეხებოდეს საბუთებს, შედგენილს ფართოდ გავრცელებულ ენებზე, მასპინძელი ქვეყნის ენასთან ლინგვისტურად მონათესავე ენებზე, მასპინძელ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ ენებზე და/ან იმ ენებზე, რომლებშიც ცნობის კომპეტეტური ორგანოს წევრებს აქვთ საკმარისი კომპეტენცია.

პარაგრაფი 24

იმის მიზეზი, რომ არ არის საჭირო უცხოური კვალიფიკაციის სახელის თარგმნა, არის ის, რომ ხშირად თარგმნა გულისხმობს შეფასებას, ხოლო ასეთი შეფასება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ცნობის კვალიფიცირებული ექსპერტის მიერ. დიპლომის დანართი, დამოწმებული ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ ისევე, როგორც კრედიტების დაგროვების და გადაყვანის სისტემა, შექმნილია იმისთვის, რომ ახსნას კვალიფიკაციის შინაარსი თარგმნისა და შეფასების გარეშე.

საბუთის ავთენტურობის დამოწმება

პარაგრაფები 25 – 28

ყალბი საბუთების პრობლემა ძალზე სერიოზულია. ამიტომ აუცილებელია ხაზი გაესვას მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საბუთების ავთენტურობას ისევე, როგორც თვითონ მაძიებლის იდენტიფიკაციას. ამავე დროს, რა თქმა უნდა, აუცილებელია წონასწორობის მოძებნა დამოწმების აუცილებლობასა და იურიდიული “უდანაშაულობის პრეზუმციის” მოთხოვნას შორის, რომელიც, პრინციპში, მაძიებელთა უდიდეს ნაწილს შეეხება. ამიტომ ცნობის კომპეტეტურ ორგანოს უნდა მიეცეს საშუალება მოითხოვოს ავთენტურობის სარწმუნო დასაბუთება, როგორცაა ორიგინალური საბუთების წარმოდგენა, იმ შემთხვევებში, როდესაც ჩნდება ეჭვი უპატიოსნობაზე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ორიგინალური ხელმოწერით ან კვალიფიკაციის გამცემი დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული ასლების მოთხოვნა. უმაღლესმა დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა გასცეს პასუხი უფასოდ, თუ ეს შესაძლებელია, ან ძალიან ზომიერი საფასურით.

ამავე დროს, ზოგიერთი კანონი, რომელიც მოითხოვს ყველა დოკუმენტის სრულ დამოწმებას, მიღებულია იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობები დღევანდელთან შედარებით გამწვანებული იყო. თუმცა ისინი აკმაყოფილებდნენ თავისი დროის მოთხოვნებს, დღეს გაცილებით უფრო უკეთესი და ეფექტური გზებია საბუთების აუტენტიფიცირებისათვის პირდაპირი კავშირებით ცნობის კომპეტეტურ ორგანოებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელთაც შეუძლიათ საბუთების ორიგინალობის დამოწმება. ამიტომ მოვუწოდებთ ქვეყნებს გადასინჯონ თავისი ეროვნული კანონები მათი გამარტივებისა და საბუთების ავთენტურობის დამოწმების წესების მოდერნიზაციის თვალსაზრისით.

V. შეფასების კრიტერიუმები

პარაგრაფები 29 – 31

უმაღლესი განათლების სისტემების ზრდადი მრავალფეროვნების, მათ შორის კერძო სასწავლებლების დიდი რიცხვის გახსნის გათვალისწინებით, კვალიფიკაციის შეფასება არ იქნება სრული მისი გამცემი დაწესებულების სტატუსის გათვალისწინებლად. ამავე დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების ეროვნული კანონები და პრაქტიკა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამდენად, დიდად განსხვავდება ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ. ლისაბონის კონვენციის VIII თავი მიუთითებს რა სახის ინფორმაცია უნდა გასცეს ქვეყანამ, რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ფორმალური შეფასების სისტემა და რა სახის ინფორმაცია უნდა გასცეს ქვეყანამ, რომელსაც არა აქვს ჩამოყალიბებული ასეთი სისტემა. იუნესკო/ევროსაბჭოს მოწინავე გამოცდილების კოდის საერთაშორისო განათლების დებულებებში მითითებულია პრინციპები გათვალისწინება აუცილებელია საერთაშორისო საგანმანათლებლო მომსახურებაში ჩართული დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის და ისინი გამოყენებული უნდა იქნან შეფასების დროს.

პარაგრაფი 32

არსებობს პირდაპირი კავშირი უცხოური კვალიფიკაციების შეფასებასა და იმ მიზნებს შორის, რისთვისაც ხდება ცნობის ძიება. მაგალითად, მოცემული კვალიფიკაცია ადეკვატური სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის, შეიძლება არ ვარგოდეს მუშაობის დაწყებისთვის მოცემულ დონეზე. შეიძლება პირიქით, კვალიფიკაცია ადეკვატური იყოს მუშაობის დაწყებისთვის და არ ვარგოდეს სწავლის გასაგრძელებლად, მაგალითად, დოქტორის დონეზე. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც უცხოურ კვალიფიკაციაში არ არსებობს კვლევის კომპონენტი, დამოუკიდებელი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა და არსებითად დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტი, ხოლო მასპინძელი ქვეყნის სადოქტორო სწავლების მოთხოვნებში ეს კომპონენტები არსებობს. ამიტომ კვალიფიკაციის ცნობის დროს უნდა იყოს მითითებული რა მიზნებისთვის გამოდგება იგი და თუ ცნობის ძიება ხდება სხვა მიზნისთვის, ვიდრე ეს მითითებულია ცნობის დაკუმენტში, უნდა გაკეთდეს ახალი შეფასება.

კვალიფიკაციების გამოყენება შეიძლება ძალიან ბევრი მიზნისათვის; აქ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

- (ა) ზოგადი დაშვება უმაღლეს განათლებაში;
- (ბ) შეზღუდული დაშვება უმაღლეს განათლებაში (ე.ი., დაშვების შეზღუდვა

- უმადლესი განათლების სისტემის ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად, ზოგიერთ ტექნიკურ სპეციალობაზე);
- (გ) ზოგადი დაშვება სწავლის გასაგრძელებლად მოცემულ დონეზე (როგორც დაშვება დოქტორანტურაში ან მეორე დონის ხარისხის მისაღებად);
 - (დ) შეზღუდული დაშვება სწავლის გასაგრძელებლად (მაგალითად, შემდგომი სწავლა ტექნიკურ სპეციალობებზე);
 - (ე) დაშვება კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
 - (ვ) ზოგადი დაშვება სამუშაოდ (ე.ი., დაშვება მოცემული დონის თანამდებობების ფართო სპექტრის დაკავებაზე);
 - (ზ) დაშვება სამუშაოდ თანამდებობების სპეციალიზირებულ არეში;
 - (თ) დაშვება რეგულირებად პროფესიებზე.

პარაგრაფი 31

ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების რამდენიმე მაგალითი, რომელთა გამოყენება შეიძლება, უცხოური კვალიფიკაციების ცნობის განცხადებების განხილვისას:

- (ა) ეროვნული კანონები და დებულებები უმადლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების შესახებ;
- (ბ) ეროვნული კანონები და დებულებები, დაკავშირებული სპეციალისტთა გადამზადებასთან, მათ შორის კანონები და დებულებები რეგულირებადი პროფესიების შესახებ;
- (გ) ევროსაბჭოსა და იუნესკოს კონვენციები;
- (დ) ევროსაბჭოსა და იუნესკოს რეკომენდაციები და კოდეზი;
- (ე) ევროკავშირის დირექტივები, მათ შორის პროფესიების ცნობის შესახებ;
- (ვ) ევროკავშირის სხვა წესები და დებულებები, მაგალითად, ისინი, რომლებიც არეგულირებენ ევროკავშირის მობილობის პროგრამების (მაგალითად, SOCRATES-ის, ხოლო ადრე ERASMUS-ის) ჩარჩოებში მიღებული კვალიფიკაციების ცნობის საკითხებს;
- (ზ) საერთაშორისო შეთანხმებები, ხელმოწერილი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს მიერ;
- (თ) ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ქვეყნებს შორის;
- (ი) ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

ყველა ამგვარ აქტს არა აქვს ერთნაირი საკანონმდებლო ძალა, ამიტომ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში მათი ფარდობითი საკანონმდებლო სტატუსი.

პარაგრაფი 36

განსხვავება კვალიფიკაციის შინაარსსა და პროფილში შეიძლება, მაგალითად, ეხებოდეს სპეციალიზაციას ან ზოგად განათლებას, მოთხოვნებს დამოუკიდებელ წერით სამუშაოებზე (თეზისების ჩათვლით), პრაქტიკის პერიოდს, ლაბორატორიულ გამოცდილებას ან მსგავს მოთხოვნებს (მაგ. სამედიცინო ან საბუნებისმეტყველო დარგებში), ან არააკადემიური ელემენტების ჩართვას (მაგ. სპორტი ან პროფესიული წრთვნა).

ის, რაც იგულისხმება “მნიშვნელოვან განსხვავებებში” და რამაც შეიძლება გამოიწვიოს

ნაწილობრივი ცნობა ან არცნობა, დიდად არის დამოკიდებული იმ მიზნებზე, რისთვისაც ხდება ცნობის მიება, მაგალითად, სწავლის გაგრძელება ან დაშვება არარეგულარულ პროფესიულ სამუშაოზე. ზოგ კონტექსტში შესაძლებელია საბაზო განათლებით დაკმაყოფილება, ხოლო სხვა შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი იყოს სპეციალიზაციის მაღალი დონე. ან კიდევ, შეიძლება თეზისი აუცილებელი მოთხოვნა იყოს მოცემული კვალიფიკაციისათვის. იმ აპლიკანტებს, რომელთა ქვეყნის სწავლების მოთხოვნები აკმაყოფილებს მიმღები ქვეყნის კვალიფიკაციის მოთხოვნებს, მაგრამ არ შეიცავს თეზისის წერას, კვალიფიკაციის სრულ ცნობამდე შეიძლება მოეთხოვოს თეზისის წარმოდგენა.

სწავლების გამოსავალი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

- (ა) სპეციფიკური საგნის ღრმა ცოდნა;
- (ბ) სამეცნიერო კვლევების გაგება სპეციფიკური საგანში;
- (გ) პრობლემის ანალიზი და მისი გადაწყვეტა;
- (დ) ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის ეფექტური შესაძლებლობა განსხვავებულ ჯგუფებთან რთულ საკითხებზე;
- (ე) გარკვეულ სფეროში კვლევის შედეგების დანერგვის შესაძლებლობა;
- (ვ) ახალ სფეროში კვლევის შედეგების დანერგვის შესაძლებლობა;
- (ზ) კვლევების წარმოების შესაძლებლობა;
- (თ) კონფლიქტური თეორიებისა და პარადიგმების განსხვავებების გარჩევის შესაძლებლობა;
- (ი) შესაძლებლობა გააგრძელოს სპეციფიკური საქმიანობა ან პროფესია ოპერაციულ, სამენეჯმენტო ან ტექნოლოგიური განვითარების დონეზე.

პარაგრაფი 37

პარაგრაფი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ ცნობის კომპეტეტურ ორგანოს სურს სრული ან ნაწილობრივი უარი თქვას უცხოური კვალიფიკაციის ცნობზე, მაშინ მისი მოვალეობაა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. ეს თანხმობაშია ლისაბონის ცნობის კონვენციისა და პროფესიული ცნობის შესახებ ევროკავშირის დირექტივების პრონციპებთან. საბუთებში შეიძლება იყოს მითითებული “იმ ქვეყნის შესაბამისი კვალიფიკაცია, სადაც ხდება კვალიფიკაციის მიება” და ეს უნდა გაკეთდეს მაძიებლის მიერ ან, თუ მას ეს არ გაუკეთებია, ცნობის კომპეტეტური ორგანოს მიერ იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც ხდება ცნობის მიება.

პარაგრაფი 38

ფორმალური უფლებები, მიღებული ცნობის აღიარებით, არც სრულად განსხვავდება და არც სრულად ემთხვევა იმ მიზნებს, რისთვისაც ხდება ცნობის მიება. ფორმალური უფლებები, მიღებული კვალიფიკაციის ცნობით შეიძლება, მაგალითად, ასეთი იყოს: უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლება, დოქტორანტურაში სწავლის უფლება, მიღებული წოდების გამოყენების უფლება ან პროფესიის დამადასტურებელი ცნობის გამოყენების უფლება. ეს უკანასკნელი ბევრ, შესაძლებელია უმეტეს, შემთხვევაში შეიცავდეს არასაგანმანათლებლო მოთხოვნებს, მაგალითად სამუშაო სტაჟს (როცა იგი არ შედის კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო საგანმანათლებლო პროგრამაში), მოქალაქეობას ან ენის ცოდნას. უცხოური კვალიფიკაციის შეფასება პროფესიული მიზნებისათვის რეკომენდაციებში განხილულია როგორც იმ ცოდნისა და ოსტატობის დადასტურება კვალიფიკაციით, რომელიც ეხება პროფესიული ცნობის მიზნებს.

რეკომენდაციები გულისხმობს, რომ თუ კვალიფიკაცია მის მფლობელს აძლევს ფორმალურ უფლებებს საკუთარ ქვეყანაში, მაშინ შეფასებისას უნდა განიხილოს ამ უფლების შესაბამისი ფორმალური უფლებების მინიჭების საკითხი მასპინძელ ქვეყანაში. ცხადია, ფორმალური უფლებები, მიღებული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის საშუალებით განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ამ დებულების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ უფლების მიღება შეიძლება მასპინძელი ქვეყნის შესაბამისი კვალიფიკაციის საშუალებითაც.

პარაგრაფი 39

კვალიფიკაცია ადასტურებს გარკვეულ კომპეტენციას, მიღებულს გარკვეულ დროში. კვალიფიკაციას დროის განმავლობაში შეიძლება შეუმცირდეს, ან სულაც დაეკარგოს მნიშვნელობა იმის გამო, რომ მისი მფლობელი არ არის ჩართული აქტიურ პროფესიულ საქმიანობაში, ან ამ დარგში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა ათვისება კვალიფიკაციის მფლობელმა ვერ შეძლო. კვალიფიკაციის მოძველების ხარისხი დამოკიდებულია ცოდნის განსახილველ დარგზე.

ამგვარად ძველი კვალიფიკაციების ცნობა შეიძლება პრობლემატური გახდეს და არ არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის სტანდარტები. თუ მასპინძელი ქვეყანა ცნობს ძველ კვალიფიკაციებს, მაშინ იგივე ასაკის ანალოგიური კვალიფიკაციები უნდა იყოს ცნობილი იგივე მიზნებისათვის. თუ მასპინძელ ქვეყანაში კვალიფიკაცია დროგასულად არის ჩათვლილი და მათ აღარ ცნობენ, მაშინ ანალოგიური უცხოური კვალიფიკაციები ანალოგიურად უნდა განიხილებოდნენ.

პარაგრაფი 40

სწავლის ხანგრძლივობა შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებული კრიტერიუმია და, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმს ყველაზე ადვილად იღებს მაძიებელი, რომლის კვალიფიკაცია ნაწილობრივ ან სულ არ იქნა ცნობილი. ცნება “სწავლის ხანგრძლივობა” რამდენადმე პრობლემატურია, რადგან, ზოგადად, ხდება შედარება სწავლების წლების ან სემესტრების, მაშინ როდესაც ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ ქვეყნებისა და ცალკეული სასწავლო დაწესებულებების მიხედვით სემესტრსა და სასწავლო წელიწადში, სამუშაო საათებით სასწავლო კვირაში, ამ საათების განაწილებით სემესტრში, საგანზე დამოუკიდებელი მუშაობით და სხვა სასწავლო საქმიანობით (საწარმოო პრაქტიკა, ლაბორატორული სამუშაო და სხვა). მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ მხრივ შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ერთი შეხედვით განსხვავებული “ხანგრძლივობის” შემთხვევაში და, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ერთი შეხედვით ერთნაირი “ხანგრძლივობის” შემთხვევაში. ამრიგად, “სწავლის ხანგრძლივობა” არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უნივერსალური ცნება და უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ კრიტერიუმად უცხოური კვალიფიკაციის შეფასებისას.

ზოგადად სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიკაციის დონის მაჩვენებლად. რაც უფრო დიდია განსხვავება სხვადასხვა კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო დროში, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ კვალიფიკაციები ერთი დონისაა. პასუხი შეკითხვაზე – რა შეადგენს ძირითად განსხვავებას სწავლის ხანგრძლივობაში? – შეიძლება გაეცეს მოცემული კვალიფიკაციისათვის სწავლის დადგენილი ხანგრძლივობის შედარებით. ერთი წლის განსხვავება სასწავლო პროგრამისთვის, რომლის დადგენილი ხანგრძლივობა, ვთქვათ, ოთხი წელია, გაცილებით

უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სრული დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომლის ხანგრძლივობა, ვთქვათ, თორმეტი წელია. ამგვარად, იგულისხმება, რომ ერთი ან მეტი წლის განსხვავება შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად უმაღლესი განათლების პროგრამისათვის, მაშინ როდესაც სწავლის გასაგრძელებლად გამიზნული პროგრამისათვის მნიშვნელოვნად შეიძლება განიხილოს ორი და მეტი წლის განსხვავება. უნდა ხაზი გაესვას, რომ თუმცა განსხვავება შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, სავალდებულო არ არის მისი ისევე, როგორც სხვა ფაქტორების, გათვალისწინება შეფასების დროს. თუ განსხვავება სწავლის ხანგრძლივობაში ნაკლებია აქ აღნიშნულზე, იგი შეიძლება არსებითად არ ჩაითვალოს გადაწყვეტილების დასაბუთებისა და კვალიფიკაციის ცნობის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ “დონე” და “ხარისხი” სხვადასხვა ცნებებია. საშუალო სკოლის სერტიფიკატი შეიძლება იყოს ფრიადის ხარისხის უმაღლესი განალების საწყის სტადიაზე დასაშვებად (რაც მისი ერთ-ერთი ფუნქციაა) და ამ კვალიფიკაციის მფლობელი სტუდენტი კარგი პოტენციალის მქონე პიროვნებად ითვლება აკადემიური სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ ამ სტუდენტს შეიძლება არ ჰქონდეს სათანადო დონე გაძლიერებული კურსების გავლისათვის.

პარაგრაფი 41

პარაგრაფში ხაზგასმულია უცხოური კვალიფიკაციის შეფასებისას ყურადღების ფოკუსირების საჭიროება ამ კვალიფიკაციაზე. განათლების წინა დონეების მხედველობაში მიღება უნდა ხდებოდეს უფრო გამონაკლისის სახით და არა როგორც წესი. მაგალითად, სადოქტორო ხარისხის შეფასებისას საშუალო სკოლის ატესტატი არ უნდა იყოს შეფასების ნაწილი. კვალიფიკაციის წინა დონეები შეიძლება განიხილოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და შეფასება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეიზრდოს განსახილველი კვალიფიკაციის იმ დონით, რომლისთვისაც იძებნება ცნობა. ამის ყველაზე კარგი მაგალითი ასეთია: მაძიებლის საშუალო სკოლის კვალიფიკაციის ნაკლმა შეიძლება ისე იმოქმედოს მისი პირველი ხარისხის კვალიფიკაციაზე, ან პირველი ხარისხის დონის ნაწილობრივ კვალიფიკაციაზე, რომ შეუძლებელი გახდეს მისი პირველი ხარისხის ცნობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევაა.

პარაგრაფი 42

პარაგრაფი ეძღვნება იმას თუ რა უნდა მოიმოქმედონ ცნობის კომპეტენტურმა ორგანოებმა და სხვა შემფასებელმა სააგენტოებმა ინდივიდუალურ შემთხვევებში შეფასების ჩასატარებლად. მათ უნდა იხმარონ მთელი თავისი პროფესიული ხელოვნება და გამოიყენონ შესაბამისი ლიტერატურა, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ სწავლის გამოსავლის და/ან შემდგომ საქმიანობაში მისი ვარგისიანობის ღრმა შედარებითი ანალიზი. უცხოური კვალიფიკაციის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს უფრო განათლების პროცესის გამოსავალს (ე.ი., კვალიფიკაციით დადასტურებულ ცოდნასა და დახელოვნებას და შემდგომი საქმიანობის წარმოების შესაძლებლობას), ვიდრე თვით პროცესს (ე.ი., საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის საშუალებითაც მიღებულია კვალიფიკაცია).

VI. შეფასების შედეგი

პარაგრაფი 45

პარაგრაფში მითითებულია, რომ მაძიებელს შეუძლია მიიღოს დამატებითი განათლება

იმისთვის, რომ მიაღწიოს ცნობას შემდგომში. ცნობის კომპეტენტურმა ორგანომმა ხელი უნდა შეუწყონ მამიებელს მიიღოს ინფორმაცია იმ ნაბიჯებზე, რომელიც უნდა გადაიდგას ამისთვის, მიეცეს შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია ან დაეხმარონ მამიებელს დაამყაროს კონტაქტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან ან სხვა შესაბამის ორგანოებთან.

უცხოური კვალიფიკაციის შეფასების რეკომენდირებული პროცედურის სქემა

ქვემოთ მოცემულია უცხოური კვალიფიკაციისა და სწავლების პერიოდის შეფასების რეკომენდირებული პროცედურის სქემატური მონახაზი. იგი ჩაფიქრებული როგორც ერთერთი მაგალითი. პრაქტიკაში ნაბიჯების მიმდევრობა შეიძლება იცვლებოდეს ან რამდენიმე ნაბიჯი შეიძლება გაერთიანდეს.

ნაბიჯი 1

ცნობის კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადების ან მოთხოვნის მიღება. მიღების დადასტურება; ინფორმაცია მამიებლისთვის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ.

გადასვლა ნაბიჯზე 2

ნაბიჯი 2

დაზუსტება, არის თუ არა მიღებული მთელი საჭირო ინფორმაცია.

თუ არა: დამატებითი ინფორმაციის მოპოვება მამიებლისაგან, საკუთარი უმაღლესი სასწავლებლებიდან, სხვა ENIC-ებისაგან

თუ დიალ: გადასვლა ნაბიჯზე 3

ნაბიჯი 3

დაზუსტება, არის თუ არა მამიებლის კვალიფიკაცია ავთენტური და წარმოდგენილი საბუთები სწორად გაცემული [ამ კომპონენტში შეიძლება დახმარებისათვის მიმართვა ეროვნულ საინფორმაციო ცენტრში].

თუ არა: (ე.ი., კვალიფიკაცია ყალბია) ცნობაზე უარი ითქმება

თუ დიალ: გადასვლა ნაბიჯზე 4

ნაბიჯი 4

დაზუსტება, არის თუ არა სასწავლო დაწესებულება და/ან პროგრამა, სადაც არის მიღებული კვალიფიკაცია, ლისაბონის კონვენციის წევრი ქვეყნის მიერ ცნობილი როგორც მისი საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი.

თუ არა: ჩვეულებრივ არ ხდება კვალიფიკაციის ცნობა.

თუ დიალ: გადასვლა ნაბიჯზე 5.

ნაბიჯი 5

უცხოური კვალიფიკაციის შეფასება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- i. მიზანი, რისთვისაც იძებნება ცნობა;
- ii. ფორმალური დებულებები:
 - (ა) ეროვნული კანონები;
 - (ბ) საერთაშორისო კონვენციები, დირექტივები, რეკომენდაციები, გამოცდილება და სხვა.
- iii. წარსული გამოცდილება ანალოგიურ შემთხვევებში;
- iv. კვალიფიკაციის შინაარსი, იმ აზრით, რომ შეავსოს (i)-(iii) პუნქტები.

v. ინფორმაცია და რჩევები მიღებული სხვა ENIC-ებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან ან სხვა წყაროებიდან.

შეფასების დროს პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- (ა) არის თუ არა განსხვავება (მიზანსა და მიღწეულს შორის) სწავლის გამოსავალში იმდენად მნიშვნელოვანი, რომ უცხოური კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს სრულად ცნობილი? თუ ეს ასეა, შეიძლება მისი ცნობა ნაწილობრივ?
- (ბ) არის თუ არა განსხვავება შემდგომ საქმიანობაში, რომლისთვისაც ამზადებს უცხოური და საკუთარი კვალიფიკაციები, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შეუძლებელია სრული ცნობა? თუ ეს ასეა, შეიძლება მისი ცნობა ნაწილობრივ?
- (გ) არის თუ არა კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო პროგრამის საკვანძო ელემენტები, იმდენად განსხვავებული მასპინძელი ქვეყნის შესაბამისი პროგრამის საკვანძო ელემენტებისაგან, რომ შეუძლებელია სრული ცნობა მოთხოვნილი მიზნისათვის? თუ ეს ასეა, შეიძლება მისი ცნობა ნაწილობრივ?
- (დ) არის თუ არა პროგრამა ან სასწავლო დაწესებულება, სადაც გაიცა კვალიფიკაცია, იმდენად განსხვავებული მასპინძელი ქვეყნის ანალოგიური პროგრამისა ან ინსტიტუტისაგან იმდენად განსხვავებული, რომ ცნობა შეუძლებელია? თუ ასეა, მაშინ შესაძლებელია თუ არა ნაწილობრივი ცნობა?

ნაბიჯი 6

გაიცემა უცხოური კვალიფიკაციის შეფასების შედეგი (შეფასების გამოსავალი). ეროვნული კანონებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე იგი შეიძლება იყოს ასეთი ფორმის:

- i. რჩევა დაწესებულებას, რომელიც იძლევა დასკვნას;
- ii. დასკვნა;
- iii. მიმართვა მაძიებლის ან დაინტერესებული მხარისადმი (მაგალითად, დამქირავებლის ან მომავალი დამქირავებლის, უმაღლესი სასწავლებლისადმი და ა.შ.)

თუ გადაწყვეტილება დადებითია (i) ან (ii): ცნობა აღიარებულია, მაძიებელი დაკმაყოფილებულია.

თუ გადაწყვეტილება უარყოფითია: ცნობა ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოფილია. გადაწყვეტილების მიზეზი უნდა ნათლად ჩამოყალიბდეს და მაძიებელს ეცნობოს მისი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ.

მაძიებელს შეუძლია:

- i. დაეთანხმოს ვერდიქტს;
- ii. გაასაჩივროს ვერდიქტი.